სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

28 ოქტომბერი 2025

N 667/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქ ბათუმში ფ/პ თეიმურაზ ვარშანიძის 120 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების მიწისქვეშა საცავის (ავტოგასამართი სადგური) ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ფ/პ თეიმურაზ ვარშანიძის მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილია კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.5 ქვეპუნქტით განსაზღვრული საქმიანობის (100 მ³ ან 100 მ³-ზე მეტი მოცულობის წიაღისეული საწვავის, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, თხევადი ან/და ბუნებრივი აირის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ ბათუმში, შავშეთის ქუჩა №35-ში, ფ/პ თეიმურაზ ვარშანიძის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 05.29.24.101; ფართობი: 775 მ²). აღნიშნულ ტერიტორიაზე, 2019 წლის 30 იანვარს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, გაიცა „ქ. ბათუმში, მოქალაქე თეიმურაზ ვარშანიძის მიწისქვეშა ნავთობპროდუქტების საცავების (ავტოგასამართი სადგურის) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ №2-98 ბრძანება, რომლის საფუძველზეც დაგეგმილი საქმიანობა არ დაექვემდებარა გზშ-ს. აღნიშნული ბრძანებით, საპროექტო ტერიტორიაზე განსაზღვრული იყო 80 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების მიწისქვეშა საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობა და ექსპლუატაცია. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე 80 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების მიწისქვეშა საცავის ნაცვლად მოწყობილია 120 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების მიწისქვეშა საცავი, ფ/პ თეიმურაზ ვარშანიძის მიერ წარმოდგენილია განახლებული სკრინინგის განცხადება და მოთხოვნილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2019 წლის 30 იანვარს გაცემული №2-98 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება. შესაბამისად, კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს 2022 წლის 17 მარტის №1445-VIIIმს-Xმპ კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარედგინა სააგენტოს შუამდგომლობა ზემოაღნიშნული ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილი ნავთობპროდუქტების მიწისქვეშა საცავი წარმოდგენილია 120 მ³ მოცულობის ლითონის რეზერვუარით, რომელიც დაყოფილია ოთხ სექციად. აღნიშნული სექციებიდან ორი ერთეული (თითოეული 30 მ³) განკუთვნილია ბენზინის

საწვავის, ხოლო ორი ერთეული (თითოეული 30 $მ^3$) – დიზელის საწვავის შესანახად. ნავთობპროდუქტების საცავი განთავსებულია ბეტონის სარკოფაგში, დაფარულია ანტიკოროზიული ნივთიერებებით და აღჭურვილია სასუნთქი სარქვლებით (სიმაღლე – 3,0 მეტრი; დიამეტრი – 0,05 მეტრი). სარეალიზაციო საწვავი ობიექტზე შედის ავტოცისტერნით, თავსდება შესაბამის საცავში და ტექნოლოგიური მილსადენით მიეწოდება დახურულ ფარდულში გათვალისწინებულ საწვავის მარიგებელ სვეტს, საიდანაც ხდება საწვავის მომხმარებელზე გაცემა. ობიექტი მუშაობს წელიწადში 365 დღე, 24-საათიანი რეჟიმით და წლის განმავლობაში უზრუნველყოფს ჯამურად 5 740 $მ^3$ საწვავის რეალიზაციას (3 000 $მ^3$ ბენზინი და 2 740 $მ^3$ დიზელი).

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიას დასავლეთით და სამხრეთით ესაზღვრება საავტომობილო გზა, ხოლო უახლოესი საცხოვრებელი სახლი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 20 მეტრში მდებარეობს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ობიექტის ფუნქციონირებისთვის საჭირო წყალაღება (სასმელ-სამეურნეო და სახანძრო დანიშნულებით) ხორციელდება ქალაქის ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან, ხოლო წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლები ჩართულია ქალაქის ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაში. რაც შეეხება სანიაღვრე წყლებს, ვინაიდან საწვავმარიგებელი სვეტი განთავსებულია ფარდულის ტიპის გადახურულ ნაგებობაში, სანიაღვრე წყლების ნავთობპროდუქტებით დაბინძურებას ადგილი არ აქვს და ჩაედინება ქალაქ ბათუმის სანიაღვრე ქსელში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი აქვს მავნე ნივთიერებების, კერძოდ, ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადების წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. დოკუმენტში წარმოდგენილია ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებების გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ასევე, აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. გაბნევის გაანგარიშების შედეგების მიხედვით, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია უახლოეს მოსახლესთან კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს არ აჭარბებს.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ობიექტის ექსპლუატაცია არ უკავშირდება ძლიერი ხმაურის წარმოქმნას. დოკუმენტში მოცემულია ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების გაანგარიშების შედეგები, რომელთა თანახმად, უახლოეს მოსახლესთან მიღებული ხმაურის დონე კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებზე ნაკლებია.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ობიექტის ფუნქციონირების პროცესში წარმოიქმნება არასახიფათო (საყოფაცხოვრებო) და სახიფათო ნარჩენები, რომლებიც გროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს ადგილობრივი მუნიციპალური სამსახური, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ნავთობპროდუქტების

მიწისქვეშა საცავი განთავსებულია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, არსებული ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიიდან 500-მეტრიან რადიუსში ანალოგიური პროფილის მქონე ობიექტები არ ფიქსირდება და კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ აქვს.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ქალაქ ბათუმის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ კოდექსის მიხედვით, სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია, რომელიც ავტოგასამართი სადგურის შემთხვევაში წარმოადგენს მხოლოდ საწვავის რეალიზაციასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ნაწილს. სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ნავთობპროდუქტების მიწისქვეშა საცავის ადგილმდებარეობის და მოცულობის, ასევე საქმიანობის სპეციფიკის და მახასიათებლების გათვალისწინებით, გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის მე-3 პუნქტის 3.5 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქალაქ ბათუმში ფ/პ თეიმურაზ ვარშანიძის 120 $მ^3$ მოცულობის ნავთობპროდუქტების მიწისქვეშა საცავის (ავტოგასამართი სადგური) ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გზშ-ს;
2. ფ/პ თეიმურაზ ვარშანიძე ვალდებულია, კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ფ/პ თეიმურაზ ვარშანიძეს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ფ/პ თეიმურაზ ვარშანიძის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ქალაქ ბათუმის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/667-21-4-202510281116

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE